

№ 17  
(4011)

25

1970 წ.

ინფარია,  
პირია,  
შანი 3 კაპ.

საპ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის  
1984 წლის  
13 აპრილიდან



# „თავს ჩინებულად გრძნობენ“

„ჩვენი გუნდის სპორტსმენები, რომლებიც წლეულს პირველი მატჩისთვის ემზადებიან, წვრთნის მრავალფეროვან პროგრამას ასრულებენ. 25 იანვარს ქალაქ სპლიტში ვხვდებით იუგოსლავიის „პაილუსს“. 30 იანვარს მატჩი გვექნება ჩერნოვოჩის ნაერებთან იუგოსლავიის ამ რესპუბლიკის დედაქალაქში ტიტოვადში, — გვიამბობს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი. მას ესაუბრა საქედის ბელგრადელი კორესპონდენტი გ. კიხელოვი, რომელიც ტელეფონით დაუკავშირდა აღრიცხვის სანაიროზე მდებარე ქალაქ მაკარსკას, სადაც ამჟამად საბჭოთა ფეხბურთელები არიან.

„ნაკრების ფეხბურთელები თავს ჩინებულად გრძნობენ, — თქვა გ. კაჩალინი. — ამას ხელს უწყობს თბილისი, სასაი-მოვნო ამინდი. ავად არავინ გამხდარა, არავინ დაშავებულა, ყველა მწვრთნელში დღას და მოუთმუნლად ელის პირველ მატჩებს.“

# მტირა როგორც დიდი რეპორატი

მოსკოვი, 23 იანვარი. მაგდის ჩოგბურთის 21 ქვეყნის ოსტატებმა გამოთქვეს ევროპის VII პირველობაში მონაწილეობის სურვილი. მტირა ჩოგბურთის ეს დიდი ჩემპიონატი 1-8 აპრილს გაიმართება ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში.

ამ სახეობაში ასეთი რანგის შეჯიბრება სსრ კავშირში პირველად ტარდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ 1968 წელს ლენინგრადში გამართულმა კონტინენტის ჩემპიონატმა იუნიატორთა შორის მონაწილეთა და სპეციალისტთა დიდი ქება დამსახურა.

დღეს მოეწყო ევროპის VII ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა, სადაც განიხილეს შეჯიბრებისთვის მზადების საკითხები. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ა. პეგოვი, მოადგილეა — ა. სტაროლუბი და გ. სიჩი.

# სსრ კავშირი

● მოსკოვი, 23 იანვარი. 2:1 — ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ — ასეთია ჭადრაკში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის ე. პოლუგაევსკისთან მისი მატჩის ანგარიში III პარტიის შემდეგ, რომელიც დღეს ყაიხით დამთავრდა. პეტროსიანს ასალინდური დაკვათორიანულურად გაითამაშა, მაგრამ უპირატესობას ვერ მიაღწია. პოლუგაევსკიმ შეძლო თამაშის გამართვა და ყაიხით ლოკავრი იყო.

● კლინგენტალნი (გდრ), 23 იანვარი. „მეგობრობის თასზე“ გამართული „მფრინავ მთობილანურეთა“ საერთაშორისო შეჯიბრების I ტურში ყველას აჯობა მასპინძელთა გუნდის წევრმა კ. კვიშმა, რომელიც 92,5 და 87,5 მეტრზე გადახტა. საბჭოთა სპორტსმენები გ. ნაალკოვი და ვ. ბელუსოვი შესაბამისად IV და V ადგილებზე გავიდნენ.

# ვინ ალბენდება მარჯვნივ?

საქართველოს ვაჟთა საქადრავო ჩემპიონატის ნახევარფინალის მსაჯეთა კოლეჯამ გამოაცხადა, რომ თბილისელმა მოჭადრაკემ დ. გედევანიშვილმა, რომელიც მხოლოდ 11 ტურიდან ჩაება ბრძოლაში, ითამაშა 1 ტურში გამოტოვებული პარტია რ. ჩხეიძესთან (ლანჩხუთი) და ყაიხით დაამთავრა იგი. ამ შედეგით გედევანიშვილი ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. რა თქმა უნდა, გუშინვე, VII ტურში, გედევანიშვილის შესვენდამ ლ. ნურთოიძესთან (ბათუმი) განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ბრძოლა მიმდინარეობდა ადრეულად. თბილისელმა ორი პაიის მოგება შეძლო, მაგრამ პარტია გადაიდო. გუშინ, თამაშის განახლების შემდეგ, ნურთოიძე თავგამოდებით იბრძოდა და ყაიხით მიაღწია. დაფაზე შეიქმნა თეორიული ყაიხი სხვადასხვა ფერის კუთა გამო.

გედევანიშვილმა ვერ შეინარჩუნა ერთპიროვნული ლიდერის მდგომარეობა: მას ა. რაზუვსკი (ქუთაისი) დაეწია, რომელმაც დაძაბულ თამაშში დაამარცხა რუსთავის ჩემპიონი გ. ბიბლაშვილი.

მსაჯური ბრძოლა გაჩაღდა ა. გაკუა



— მ. ძნელადის (ორივე — თბილისი) და თ. თურქესტანიშვილი (თბილისი) — გ. კუთარაშვილის (გორის რაიონი) პარტიებში. პირველში ძნელადიმ გაამარჯვა, მეორე კი ექვსათიანი თამაშის შემდეგ ყაიხით დამთავრდა.

სხვა შესვენდებიდან აღსანიშნავია მ. არჩაძის (სამტრედიო) გამარჯვება მ. ჩაგუნავასთან (სოხუმი), გ. მუენიაშვილის, ჯ. ინჯას (ორივე — გორი), ა. თავადაშვილის (ქუთაისი) და კ. ღურგლიშვილის (გურჯაანი) შედინად ორ-ორი მოგება.

7 ტურის შემდეგ ფინალის ორი საგზურის მთავარი პრეტენდენტები არიან გედევანიშვილი, რაზუვსკი — 6-6 ქულა, ნურთოიძე — 5,5, ბიბლაშვილი, ძნელადი და კუთარაშვილი — 5-5.

დღეს დილით შედგება VIII ტური, 26 იანვარს — გადამდებული პარტიების დამთავრება. 27 იანვარს ჩატარდება დასკვნითი, IX ტური.

მ. გიორგაძე.

# ლაკარაკობან მონანილანი

ბ. ლაშოვაძე  
(ჩხოროწყუ)

სოფელ ლესიქინეს საბავშვო სპორტსკოლაში ვაისხნა ჭადრაკის ერთი ჯგუფი, იანვრიდან კი ჩხოროწყუში კიდევ ორი ჯგუფი შეუდგა მეცადინეობას.

რაიონში გვყავს ენერგიული აქტიური მასწავლებლების დ. გორდუღაძის (სოფ. ხაბუშე), კ. ვახანიას, ინჟინერ ბ. ფირცხალავას და ექიმ ვ. ვახანიას სახით.

არ დავამალავ: გული გვეწყდება, ჩხოროწყუში ოსტატები რომ არ ჩამოიდა. ასეთი სტუმრობა ხელს შეუწყობდა ჩვენს რაიონში ჭადრაკის პოპულარობას და კიდევ ბევრ ქაბუკსა და გოგონას ამ საინტერესო სახეობას შეაყვარებდა.

ლ. ჟუხილაძე  
(წალენჯიხა)

ენგურაქის მშენებლებს ჭადრაკიც უყვართ. მათი შეილები ამ ბრძოლაში თამაშის საიდუმლოებას „კოლმუშინის“ მიერ გახსნილ საბავშვო სპორტსკოლაში ეცნობიან. ახლა გადამწყდა კამხალმუშის კლუბში ჩამოყალიბდეს ჭადრაკის შემსწავლელი ჯგუფი.

ყოველივე ეს ძალიან კარგია, მაგრამ თვით მშენებლებისთვის რომ არაფერი კეთდება? რატომღაც დაგვივიწყეს ცნობილმა მოჭადრაკეებმა, მათი ლექციები და სემინები კი დიდ სამსახურს გავვიწყვდა. ჭადრაკის მესვეურებს ჩვენთან ერთი დიდი ტურნირიც არ ჩაუტარებიათ, ენგურაქელებმა კი ცუდი მასპინძლობა როდი ვიცით.

# სუთი საგზურისთვის

გუშინ თბილისში, ცენტრალურ საქადრავო კლუბში, სტარტი აიღო დედაქალაქის ვაჟთა წლევეანულმა ჩემპიონატმა. ამ ტურნირში უნდა გამოავლინოს თბილისის ახალი ჩემპიონი (შარშან რ. ვინცხიაშვილი იყო) და დაასახლოს საქართველოს 31-ე საქადრავო ჩემპიონატის 5 მონაწილე.

ბუნებრივია, რომ თბილისის პირველობას შერჩევითი ტურნირი უსწრებდა. შეჯიბრებაში 106 მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. 12 გამარჯვებული ახლა ფინალში თამაშობს.

დედაქალაქის ჩემპიონის წოდებისთვის 16 მოჭადრაკე იბრძვის. ესენი არიან ცენკისურის მიხედვით: 1. ოსტატობის კანდიდატი ს. ჩეჩელიანი, 2. ოსტატობის კან-


დიდატი ვ. სემიონოვი, 3. მანანა სანაძე, 4. ოსტატობის კანდიდატი ს. ელბაძე, 5. ოსტატობის კანდიდატი მ. თნელიძე, 6. ოსტატობის კანდიდატი დ. ჩანოვი, 7. ოსტატობის კანდიდატი თ. ალაბეგაშვილი, 8. ოსტატობის კანდიდატი ს. მეგრელიშვილი, 9. ოსტატობის კანდიდატი ზ. მიქაძე, 10. ოსტატობის კანდიდატი ნ. ჩახლიანი, 11. ოსტატი თ. ლომაია, 12. ოსტატობის კანდიდატი ე. მიქაელიანი, 13. ოსტატობის კანდიდატი ვ. მეჩითოვი, 14. ე. ბელქანი, 15. ოსტატობის კანდიდატი გ. ციხელაშვილი, 16. თამარ ხუგაშვილი.

ორი მონაწილე გოგონა, რა თქმა უნდა, უკონკრეტოდ თამაშობს. ჩემპიონატი ჭეშმარიტად ანალგაზრდული შემადგენლობისაა.

ეს სურათი თბილისის ფალავანთა კლუბშია გადაღებული. ხალიჩაზე ხედავთ სპორტის ოსტატებს—ძმებს ნოდარ (მარჯვნივ) და აკაკი ხოხაშვილებს. ისინი თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან. როგორც სურათიდან ჩანს, 19.9 წლის მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონი აკაკი არ შეუშინდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორის მაღალ ტიტულს და ენერგიულად უტევს ძმას. I

ფოტო ი. იუნაევისა.

# იარიზუა 13 წლის იარინე გაგრატიონი




1969 წლის სექტემბერში თბილისის 126-ე საშუალო სკოლის VII კლასში ფიზკულტურის გაკვეთილი ტარდებოდა. მასწავლებელი რ. იობიძე (რომელსაც ჩვენს რესპუბლიკაში კალათბურთის კარგ სპეციალისტად იცნობენ) აღსაზრდელთა სიას კითხულობდა და ყურადღებით აკვირდებოდა მოსწავლეებს, ახარებდა ყოველი მათგანის წასვლი იერი.

ამ გაკვეთილზე მასწავლებელი ყველაზე მეტად ირინე გაგრატიონმა გააოცა, რომელსაც ტანი უცებ აეყარა (180 სმ), თანატოლებზე მოქნილი და ღონიერი ჩანდა. იობიძის რჩევით ირინემ სკოლის კალათბურთის სექციაში დაიწყო მეცადინეობა. მოლოდინებული ვარჯიშით გაგრატიონი ჭერ სასკოლო, შემდეგ კი რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში ჩაირიცხა, სადაც 18 წლის გოგონას ცენტრალური თავდასხმელის ადგილი მიანდეს.

ირინეს სახით ჩვენს რესპუბლიკას პერსპექტიული კალათბურთელი ეზრდება.

ტექსტი და ფოტო ი. იუნაევისა.





# ეროვნული პარტი



## ფიქრები შეხვედრის შემდეგ

მას წინათ ერთ ამხანაგს შევხვდი. თავის დროზე იგი საქმიან ცნობილ სპორტსმენს იყო. დიდი ხნის უნახავი შევხვდა. ბევრი ვილაპარაკეთ. ბოლოს სპორტზე ჩამოვადეთ სიტყვა. აღმოჩნდა, რომ ჩემი მეგობარი ძველბურთი სიყვარულით ადევნებდა თვალყურს სპორტულ ცხოვრებას, ხშირად ესწრებოდა შეჯიბრებებს, ერთი სიტყვით, კვლავინდებურად ახლოს იყო სპორტულ სამყაროსთან.

სინაწულს გამოთქვამდა: ახალგაზრდა სპორტსმენების ერთ ნაწილში ის ვატაკება და ენთუზიაზმი აღარ შეინახა, რომელიც ჩვენ, ძველებს გვახსიათებდა. გაკვირვებული იყო იმიტომ, რომ ზოგიერთი მოზარდი — ქაბუკი თუ ქალიშვილი სპორტს აღმაცე-

რი მიტყვამს მისთვის. ზედმეტი იყო ამაზე ლაპარაკი კაცთან, რომელსაც საკმაოდ კარგად ვქონდა შეგნებული სპორტის მნიშვნელობა.

უსიამოვნო გრძობა კი დიდხანს გაშვავა. გამეცა და... გადავწყვიტე ეს წერილიც დამეწერა. დარწმუნებული ვარ, ჩემი მეგობარი წაიკითხავს ამ სტრიქონებს, თუმცა სულაც არ ვფიქრობ, რომ ყველაფერში დამეთანხმება.

სამწუხაროდ, ასეთები ცოტანი როდი არიან ჩვენში...

## დაუსწრებელი საუბარი

ჩემი მეგობარი, მე მინდა ჩვენი დაუსწრებელი საუბარი ცოტა შორიდან დავიწყო.

ეს იყო მაშინ, როცა მე მტკიცედ გადავწყვიტე სპორტსმენი გაემხდარიყავი. შენ კარგად იცი, რა დიდი ძალა აქვს ახალბედებს სპორტულ მაგალითს. საბედნიეროდ, მე ადრეული ბავშვობიდან მქონდა ამის საშუალება. ჩვენ კიროვის პარკთან ახლოს ცვსოვრბდით და სპორტმოედნების ხშირი სტუმარი ვიყავი. გაფართოებული თვლებით შევეუფარებოდი ცნობილ სპორტსმენთა პაექრობას. მათ შორის შენც იყავი. ჩემი სიმათიები შენს მხარეზე იყო.

ერთ მშვენიერ დღეს დარბაზში ვეღარ გნახე. აღარც მერე გამოჩენილხარ. ასე გავიდა რამდენიმე წელი. მე სერიოზულად მოვიკიდე სპორტს ხელი და, მართალი ვითხარა, შენი ამბავი გადავივიწყე. პირველივე გავიგე დიდი სპორტიდან შენი წახვლის მიზეზი: ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ — ასპირანტურაში შესულხარ და სპორტისთვის „დრო აღარ გრჩებოდა“. ახლა ძნელია იმაზე ლაპარაკი, რამდენად სწორი იყო შენი გადაწყვეტილება. ერთი კი ცხადია: შენ კიდევ ბევრი შეგეძ-

ლო გაგეცემებინა სპორტისთვის, რომელმაც ამდენი რამ მოგვაცხოვრებამი.

ახლა კი თავად განსაჯე: რამდენად საშარლოიანი ხარ, როცა სპორტის გზა გინდა სათავეზე დაუბნო საკუთარ შვილს.

ანაწური ქემპირიტება და მე მინდა მხოლოდ შეგახსენო, რომ მევეთრად შეიცვალა ცხოვრების რიტმი. იგი ვახდა უფრო ინტენსიური, დაძაბული და მომღელელი. შესაბამისად იცვლება ადამიანიც. თანამედროვე ცხოვრებამ მის წინაშე გაცილებით რთული პრობლემები დასახა. ის, რაც საქმარისი იყო გუშინ, დღეს აშკარად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ახლა ბევრს ბუბონ, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ადამიანი. ჩემთვის ძნელია ამ ურთულეს, მრავალსიმომცველ პრობლემაზე საუბარი, მაგრამ ერთი რამ კი ნათელია: ჩვენი დროს ადამიანი მაღალ ინტელექტთან ერთად ფიზიკურადაც ძლიერი და სრულყოფილი უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, ძლიერი კუნთები სჭირდება მეცნიერს, მუშას, მუსიკოსს, კოლმეურს, მხატვარს, მწერალს — ნებისმიერი დარგის წარმომადგენელს, რათა მან შეძლოს სასუკარი მიზნის მიღწევა.

ერთი სიტყვით, ძლიერი კუნთები სჭირდება მეცნიერს, მუშას, მუსიკოსს, კოლმეურს, მხატვარს, მწერალს — ნებისმიერი დარგის წარმომადგენელს, რათა მან შეძლოს სასუკარი მიზნის მიღწევა.

## ისინი ბევრი არიან

ჩვენ ვხვავს ერთი საერთო ნაცნობი. ეს კაცი საქმიან კოლორიტული ფაგორაა არა მარტო არქიტექტორთა სამყაროში, არამედ დიდ ცხოვრებაშიც. სიტყვა ხანდაზმული აშკარად შეუფერებელია მისთვის, თუმცა ვერც ქაბუკს უწოდებ, რადგანაც ორმოცდაათ წელს გადააბიჯა. ეს ადამიანი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა სასწაულის მოხდენა შეუძლია სპორტს. ხშირად მინახავს იგი სპორტულად გამოწყობილი კუს ტბისკენ ფეხით მიმავალი, მინახავს საცურაო აუზში, კალათბურთის მოედანზე, უკანასკნელად იგი ბაკურიანში ვნახე, სათხილამურო ტრასაზე. მისი ქაბუკური იერი, მკვირცხლი და მტკიცე ნაბიჯი მნახველს ძალაუფლებს. რად აფიქრებინებს, რომ იგი ნამდვილი სპორტსმენია. იგი თავისი მოწოდებით მართლაც არის სპორტსმენი, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უსაზღვროდ უყვარს სპორტი, მაგრამ სპორტული დიდება არასოდეს ყოფილა მისი მიზანი.

გაკვირვებას იწვევს: როგორ მოულოდნელად სპორტისთვის დროს ეს მოუცლელი ადამიანი? საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი მეტად ნაყოფიერი არქიტექტორია. მისი პროექტების მიხედვით ნაგები შენობები ამშვენებს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა ქვეყნის ბევრ ქალაქსა და რაიონს. ესე იგი, თავისუფალი დროს გამოახვდა მუდამ შეიძლება, მით უმეტეს, თუ იგი აუცილებელზე აუცილებელია ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის.

საქმარისია დავასახელოთ ერთი ფაქტი: „ყოველ მეათე მამაკაცს ორმოცი წლის შემდეგ ინფარქტი დაავადების საფრთხე ემუქრება. სასურველია მედიცინას არ ძალუძს გადაეღოს ამ საფრთხეს. ვალიდული ამ ავადმყოფობისთვის ხსნა არ არის, მას შეუძლია მხოლოდ შეასუსტოს ტვივლი და გაახანგრძლივოს ავადმყოფის სიცოცხლე, მაგრამ ინფარქტისგან ადამიანს დასვევდა არ შეუძლია. თუმცა თითოეულ ჩვენგანს საშუალება აქვს თავად უშველოს თავს და ისე მოაწყოს ცხოვრება, რომ აიშოროს ინფარქტი, თუნდაც ძალზე დაძაბული ყოფაქმონდეს.“

ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ მოხელეს ნ. ამოსოვს, რომლის კლინიკაშიც დღემდე გულის ექვსი ათასამდე ოპერაცია

## ტრადიციის დამკვიდრება

თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში კარგი ტრადიცია დაიბრუნა: წლებადლიდან სასკოლო შეჯიბრებების მთავარი მსაჯისა და მდივნის მოვალეობას აღმზრდელები შეასრულებენ. განგარში გახსენს სპორტის ოსტატმა ლამარა ტულუშმა და ახალგაზრდა მწვრთნელმა თამარ კლდიაშვილმა. მათმა მსაჯობამ მალალო შეფასება დაიმსახურა.

ამ სკოლის მოსწავლეთა პირველ ტურნირში განსაკუთრებით ისახელა თავი ვ. შმაკოვამ, რომელმაც 13-14-წლიანთა შეჯიბრებაში ორი გამარჯვება მოიპოვა: 50 მეტრზე თარბრენში და 60 მეტრზე რბენაში ორივეჯერ ერთხანარი შედეგი — 8,1 წამი აჩვენა.

ამავე ასაკის ბიჭებში გ. გაბარაევმა 60 მ 7,7 წამში გაიბრინა და 534 სმ სიგრძეზე გადახტა. 600 მ-ტრზე რბენა ვ. მანაევმა მოიგო — 1.43,6.

ო. მუხლიშვილმა და თ. ბოგდანოვმა 11-12 წლის ბიჭების ტურნირში 60 მეტრზე რბენაში ერთხანარი შედეგი — 8,8 წამი აჩვენეს. მეორედ წინ აღმოჩნდა ბოგდანოვი. ამ ასაკის გოგონებში 60-მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიბრინა მ. ყაჯრიშვილმა — 8,9 წამი.

**3. გუპინი.**

სურათზე: 600 მეტრზე შორ. ბენალი ქაბუკები ასპარეზობისას. ფოტო ავტორისა.



## თბილისის რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

„ლინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს XIX საკლარაკო ჩემპიონატში 13 კაცი მონაწილეობდა. გაიმარჯვა პირველხანარა გოსანმა ზ. ბერინმა (9 ქულა). II ადგილზე ოსტატობის კანდიდატი ი. გასპაროვი (8). III-IV ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა ვ. დავითაშვილმა და პირველხანარა გოსანმა ა. ნიკოლიაშვილმა (7-7). პირველი სამი მოქალაქე „ლინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშეს. დასასრულს გაიმართა ელვისებური ტურნირი. აქ ყველას აქომა ოსტატმა ი. ჩიქოვანმა — 11 ქულა 11-დან.

**3. ფაშვილიანი,** რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

**4. ზუგდიდი**

დოსაფის საქალაქო კომიტეტმა ავტორლომზე გაართა შეჯიბრება მანქანების ფეგურულ მართვაში. სტარტზე 53 კაცი გამოვიდა: ყველას აქომა ა. ჯანაშიამ (ზუგდიდის რაიონის დოსაფის ავტო-მოტოკლუბი). თვე ჩატარდა გუნდური შეჯიბრება ხელყუმბარის ტყორცნაში. გაიმარჯვეს სამგზავო ავტოსატრანსპორტო კონტორის სპორტსმენებმა.

**5. ალშიანი.**

## ბუნჯარბნელ უარს აგებუ...

როგორც ვიწყებოდით, ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა სსრ კავშირის უმღიერეს ძიუდოსტა ტურნირი, რომლის მიზანი ჩვენი ქვეყნის ნაკრებოუნდისთვის დინსტელი კანდიდატების შერჩევა იყო.

ქვეშსუბქ წონაში საქართველოს ორი წარმომადგენელი გამოდიოდა — თბილისელი ფ. მარტყოფლიშვილი და გორელი ჯ. ხორბალაძე. კებქსყირთ მარტყოფლიშვილი პირველად ვეროპის ექს-ჩემპიონს, მოსკოვულ ვ. ბუტირისს შეხვდა. თბილისელმა ოსტატმა მეტოქე ქულებით დაამარცხა. მეორე წრეში მის წინააღმდეგ ვერთპის მოავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი, ლენინგრადელი ს. სუსლინი ჰიდაობდა. მარტყოფლიშვილის უპირატესობა ამჯერადაც აშკარა იყო. მესამე წრეში თანამემამულეები შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება კვლავ თბილისელმა ათლეტმა იხვეია.

და აი, ფინალში ისევ სუსლინი და მარტყოფლიშვილი ჰიდაობნენ. თბილისელის გამარჯვება ამჯერად უფრო დამაჯერებელი გამოდგა და მარტყოფლიშვილმა I ადგილიც დაიხსაკუთრა. სსრ კავშირის ნაკრებში ჩვენი რესპუბლიკის ორივე მოქიდავე მოხვდა.

მსუბუქი წონის ფინალში ჩვენი თანამემამულეები — გორელები რ. მალალოძე და ვ. ბორჩაშვილი იბრძოდნენ. საინტერესო შეხვედრაში გამარჯვება მსაჯებმა ერთხმად მიაკუთვნეს მალალოძეს. ამ წონაშიც სსრ კავშირის ნაკრები ორი ქართველი ათლეტი იქნება წარმოდგენილი.

ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი საშუალო წონაში. საქმარისია

ითქვას, რომ გამარჯვებისთვის აქ სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები — მოსკოველი ა. ციუპანკეო, ორჯონიკიელი ს. კასოვი, კიეველი ა. მბდაღარბეო და ი. შუკლინი იბრძოდნენ. ფავორიტთა შორის იყო თბილისელი ვ. გოგოლაურიც, რომელმაც თავიდანვე აქტიურად წარმართა შეხვედრები და თანმიმდევრულად დაამარცხა მთავარი მეტოქეები: შუკლინი, ციუპანკეო და კასოვი. ფინალში ერთმანეთს უნდა შეხვედრდნენ გოგოლაური და მონდარბეო. ამ უკანასკნელს — ეფროპისა და სსრ კავშირის მოავალგზის ჩემპიონს — გოგოლაურთან ბრძოლაში სისტემატურად არ სწყალობს ბედი: უპირატესობა, როგორც წესი, მუდამ გოგოლაურის მხარეზეა. აღმათ ეს გახდა მიზეზი, რომ მონდარბეომ ამჯერად საერთოდ უარი თქვა ფინალურ ბრძოლაზე. გოგოლაური I ადგილზე გავიდა.

ქვეშსუბქ წონაში ჩვენ მისაწილე არ გამოგვიყვანია. აქ I-II ადგილები დაიკავეს ვ. სოლოდუნიშმა (მოსკოვი) და ვ. პოკატაევმა (სარატოვი).

მძიმე წონაში საქართველოდან სამი მოქიდავე ასპარეზობდა: გ. ონაშკილი, რ. ოდიშელიძე და ვ. გზირიშვილი. I-II ადგილები დაიკავეს კიეველმა ა. ნოვიკოვმა და მოსკოველმა ვ. კუნენცოვმა. ამათ გარდა, ნაკრებში შევიდა სამივე თბილისელი ძიუდოსმენი: ვ. ონაშკილი, მსაჯთა კოლეჯიამ პირველი წრის შემდეგ (დამარცხა ანდრეიშვილი) მოხსნა, ვინაიდან ახალ ნათიპაცივეს შესაძლოა ტრავმა მიუღო.

**8. მავიანშილი,** საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

## სარეკორდო შედეგით

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული საბავშვო სპორტსკოლის გუნდი ამას წინათ დონეცს ეწვია და იქაურ თანატოლებთან ამხანაგური მარტი გამართა. თბილისელებმა წარმატებით იასპარეზეს: 16 წლის მ. ალი-

ატირისკიამ სამი გამარჯვება იხვეია — 100 მეტრზე რბენაში (12,9), სიგრძეზე ხტომაში (530 სმ) და სიმაღლეზე ხტომაში (150 სმ). ს. მანუკოვმა ჭოკით 376 სმ სიმაღლე გადალახა და 6 სანტიმეტრით გააუმჯობესა 15-16 წლის ქა-

ბუკთა, რესპუბლიკური რეკორდი. 100 მ-ყველაზე სწრაფად გაიბრინა ვ. ბრეგვაძემ — 11,4 წამი. ი. ივანოვა 515 სმ სიგრძეზე გადახტა: ხტომაში მძებმა ვ. და ვ. პლივებაძე იმარჯვეს: გუნადი სიგრძეზე მსტომელთა შეჯიბრება მოიგო (562 სმ), ხოლო ვალიორი — სიმაღლეზე ხტომა — 170 სმ.

**3. გუპინი**





# ს ა კ მ ე

გაუკეთებიათ. განთქმული ქორთული მიხრეწეს, რომ ვულისა და, საერთოდ, ყველა დაავადებასთან ბრძოლის ერთ-ერთ უეფარ საშუალებას ფიზიკური კულტურა წარმოადგენს.

დილის გამაზნევენელ ვარჯიში, ფეხით ხშირად სიარული, სპორტული მოძენები, ტურისტული ლაშქრობები, საცურაო აუზები და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ფიზიკური „არაღია“ ფიზიკულტურისა და სპორტის განკარგულებაში. მათ ბევრისთვის გაუკუყუებით, დაუბრუნებიათ განმრთვლობა და მომავალშიც მრავალადამიანი გაუხანგრძლივებენ სიცოცხლეს. რა თქმა უნდა, თუკი ეს ამ აღამიანების სურვილიც იქნება და საამისოდ „თავისუფალ ფროს გამონახვენ“.

### ვის უფრო მობილრო რჩება?

მეფობარო, ჩვენ რამდენადმე გავსოვრდით საუბრის თემას. ცნობილი არქიტექტორის ამბავს, რომელსაც წემოთი გეხაუბრე, ვარკვეული მიზანი მქონდა. კაცმა რომ თქვას, ვის უფრო მობილრო ვისუფალი დრო რჩება სპორტისთვის, საყოველთაოდ აღიარებულ მოღვაწეს, თუ შენს პატარა ბიჭუქას?

ჩვენს ეს მავალითი ტიპურად არ მიიჩნოვ? მაშინ კიდევ ერთ აღამიანზე გეხაუბრებო. ეს კაცი დიდი მეცნიერია, აკადემიკოსი განლაგს. მის შრომებს კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. საინტერესოა, როგორ ჩარმოვიდგება მისი სპორტეტი? ხანდაზმული, გამუდმებულ მეცნიერული კვლევა-ძიებისგან წინაღობად მობრუნებული, ფერმკრთალი? ნურას უკაცრავად! ეს კაცი სულ ცოტა ათი-თხუთმეტი წლით უფრო ახალგაზრდად გამოიყურება; ვიდრე სინამდვილეშია. თუ კი მას სპორტულ ასბამაგონებ

რგზე ნახვ, გავიყრება გავიორკეცდება, იმე მსუბუქად, ლაღდა და მოხდენილად მოძრაობს. აი, ვის არ ეშუაქრება ინფარქტის საფრთხე!

შენი შვილი შეიძლება არქიტექტორიც გამოვიდეს, აკადემიკოსიც, მუსიკოსი ან ქორატორი ისე, რომ სპორტმა ოდნავადაც არ შეუსალღს ხელი. პირიქით...

### უსაფუძვლო არბუმენტი

მამიც, საიდან იღებს სათავეს სპორტისადმი ნიპილისტურად განწყობილი აღამიანების მოსაზრებები? ამ მეტარ შეხედულლებებს ასაზრდოებს მეშინაობა, უმეცრებაზე რომ არაფერის ვთქვათ. ასახელებენ იმ აღამიანების მავალითებს, რომლებიც თითქოს არასოდეს მისხედდნენ არც სპორტს, არც ფიზკულტურას და მაინც განმრთვდნენ და დღეგრძელი არიან.

ასეთი აღამიანების მავალითი ტიპური არ არის. ისინი ერთეულინი არიან, მათი უმრავლესობა კი საქმაოდ აქტიურად მისხედდა ფიზკულტურას ისე, რომ ხანდახან არც კი მქონდა ეს პროცესი კარგად წარმოდგენილი. რაში გამოიხატებოდა ეს? აღამიანი, რომელიც ბევრს მოძრაობს, არ ეზარება ფიზიკური შრომა, ხელიდან არ გაუშვებს შემთხვევას დასვენებისას იტურაოს, ცხენით იჭირათოს, ტყეში იაროს, გარკვეულ ხარკს უღდის ფიზკულტურას და სპორტს. ამ „ხარკის“ სამაგიეროდ კი ლეზულობს დღეგრძელობას. ტყუილად კი არ მიიჩნევენ საქართველოს დღეგრძელი სახლის ქვეშადა. ჩვენში საუკუნეს ვადაცილებულ ბევრ აღამიანს შეხედებო. მათი დღეგრძელობის წყარო იყო, პირველ ყოვლისა, მოძრაობა, ფიზიკური შრომა, ცეკვა, ცხენოსნობა...

ახლა ყველაზე გავრცელებული

„არგუმენტი“: აქოა, სპორტი აღამიანს ბევრ დროს არომებს და ამიტომ ინტელექტუალურ განვითარებაშიც უნდს უშლისო. ეს იმდენად აბსურდული მოსაზრებაა, რომ შესაძლოა პასუხის გაცემააც არ ღირდეს. მაგრამ, ვფიქრობ, ამან შე საუბარი საქმეს არ წაანდენს.

ჭერ ერთი, მიმოხედეთ თქვენს გარშემო: ვინა ცოტა უსაქმური, გონებაშეწვლეული აღამიანია, რომელსაც სპორტთან საერთოდ არ მქონია არავითარი კავშირი? როგორც ხედავთ, სპორტი აქ არაფერი შუაშია. მას მხოლოდ ისეთი აღამიანებისთვის მოაქვს ზიანი, რომლებიც ცხოვრებაშიც არ არიან დისციპლინირებული, მობოლიწებული, მიზანწრაფული. სამწუხაროდ, ასეთ სპორტსმენებს იმეათად, მაგრამ მაინც შეხედებოთ. მაგრამ ეს ცალკეული მავალითები არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვაოვადოთ. პირიქით, სამავალითოდ უნდა მივიჩნიოთ სპორტსმენთად იდი, თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა. გახსენეთ, თუნდაც, გ. ნიკოლაძე, გ. შვაცაბაია, გ. ეგნატაშვილი, კ. ლომინაძე, ლ. სანაძე, ლ. გოგოლაძე და სხვ.

### დროის გამოხანგრძობა შეიძლება

თქმბ არ უნდა, გარკვეულ პერიოდში ფიზიკურ კულტურას დიდი ადგილი უკავია ცნობილი სპორტსმენების ცხოვრებაში, მაგრამ არის თუ არა იგი საზიანო მათი ინტელექტუალური განვითარებისთვის? არავითარ შემთხვევაში, რადგანაც სპორტს მისდევნის ძლიერი, ნიჭიერი და მტიციე სასიათის აღამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ერთდროულად ორი ჰაიანი გასწონ. ასეთი სპორტსმენების მხოლოდ გვარების ჩამოთვლა ცი ძალიან დიდ დროს წაგვართმევდა.

თუ კი პიროვნებას სხვადასხვა მიზეზის გამო დიდ სპორტში გამოხვლის უნარი არ შესწევს, მისგან არავინ მოითხოვს ოქროს მედლებსა და პრიზებს, რეკორდებს, მაგრამ საზოგადოების თით

ოეთულმა წევრმა მუდამ უნდა გამოხანოს დრო, თუ შეიძლება ასეთიქვას, გამაჩანსადებელი სპორტისთვის. არ უნდა დაგვაფიწვედეს; ამით მარტო საკუთარი ჩანმრთელობისთვის კი არ ვზრუნავთ, არამედ იმისთვის, რომ სასარგებლონი ვიყოთ საზოგადოებისთვის, ჩვენი საყვარელი საქმისთვის.

### მიფაში ჩავლული ოქრო

ენლიბ გარომოს ის უღადესი როლი, რომლის შესრულებაც პრესას, რადიოს, ტელევიზიას, გამომცემლობებს შეუძლიათ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდაში.

ათასობით აღამიანი იხმენს რადიოთი სპორტულ ინფორმაციებს, ტელეეკრანზე უყურებს შეგობრებებს, გაზეთებში ეცნობა სპორტის სიახლეებს, კითხულობს ამ თემისადმი მიძღვნილ ლიტერატურას. უყოველვე ეს მალიან კარგია, მაგრამ ერთი მომენტი არ უნდა გამოვარჩეს მხედველობიდან: სპორტის პროპაგანდა ამ დარგის მეოღენე ხალხს უნდა მივანდით. თორემ ზოგიერთი უურუნლისისა და კომენტატორის გამოსვლა მარტო სპეცილისტებს კი არა, ჩვეულებრივ, ასე ვთქვათ, რიგით გულშემატკვარსაც ირონიულ დიმოლს პვერის.

ყველამ კარგად იცის, რა დიდი წარმატება ხედა წილად ბ. პაიჭაძის, ი. ვლასოვის, ა. ლოღობერიძის, ვ. ბალავაძის, ა. კოტოვის, ვ. პაპენჩენკოს წიგნებს... გარდა იმისა, რომ დამსახურებული ავტორტეტით სარგებლობენ, ამ ავტორთა აზროვნება შედარწევნით დასაბუთებულია. კვლიერციური და პროფესიულია. შეიძლება მხოლოდ სინაული გამოვთქვათ, მეყვით ცნობილი სპორტსმენი რატომღაც თავს რომ არიდებს ამ საქმეს, რომელსაც შეუძლია ახალგაზრდობის მოუტანოს არააკლები სარგებლობა, ვიდრე მათ გამოხვლებს სპორტულ ასპარეზზე. ვინ იცის, რამდენი სახელმწიფოელი ალტეტი, ვისაც შესწევს უნარი დაწეროს წიგნი სპორტზე, თითქმის არაფერს აკეთებს თავისი მდიდარი გამოცდილების სხვებისთვის

გაზიარების მიზნით. გახსოვდასკობათ, სულხან-საბა ორბელიანის ერთი ცნობილი იგავ-აზრონს გმორი, რომელსაც ოქრო მიწაში ქქონდა ჩაფლული და არაფერისთვის არ, იყენებდა.

### სათანადო ასახვას მოელის

ყველა დაგვეთანხმება: მხატვრული ლიტერატურა, სახეიო ხელოვნება, თეატრი და კინემატოგრაფია დიდ გულში არიან სპორტისა და სპორტსმენთა წინაშე.

ზოგიერთი მწერალი შესაძლოა ფიქრობს, რომ სპორტსმენის სულიერი სამყარო ისეთი ღრმა არ არის, რომანის თემად რომ გამოადგეს. სასაცილო აზროა. ჩვენ ბევრი შესანიშნავი წიგნი წაგვიკითხავს და ბევრი ფილმიც გვიჩინავს სპორტსმენთა ცხოვრებაზე (გაგიხსენით, თუნდაც, ფილმები: „ასეთია სპორტული ცხოვრება“, „ქალი და კაცი“, „მიმი ხელთათმანი“). სპორტსმენებზე წერდნენ ჭკელიონი, ბეჩინაშვილი, მათ ხატავს პიკასო, სპორტსმენთა სულიერი და ფიზიკური სილამაზეს აღიღებდნენ ძველი ბერძენი პოეტები და მოქანდაკეები...

თანამედროვე სპორტული ცხოვრება გამოიჩინვა დიდი რბმით, აღსახვა საინტერესო მოვლენებით, სპორტსმენები კი რთული ფსიქოლოგიით გამოიჩინენ და მათი სულიერი სამყაროც სათანადო ასახვას მოელის.

P. S. ჩემო მეგობარო, ვგონებ სიტყვა გამიგრძელიდა, მაგრამ საკითხი, რომელსაც ახლა ვსაუბრობდი, ჩვენი ახალგაზრდობის მომავალს შეეხება. სიმართლეს თვალეზში უნდა შევხედოთ: თუ გვესურს მომავალი თაობა იყოს ჩანსადი, ძლიერი, მიზანწრაფული, მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშოთ სპორტისკენ მიმავალი გზა.

ამ წერილის პრეტენზია არა აქვს მიმოხილვის ამ დიდი ეროვნული საქმის ყველა ასპექტი. ეს საუბარი, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

ა. გოგაშვილი, სპორტის ოსტატი.

# დღეგრძელობა იუბილარს!

დიდი მისი დამსახურება საქართველოში უმაღლესი კლასის მოტიღვეთა აღზრდაში. პეტრე იორდანიშვილს, რომელსაც ახლახან 60 წელი შეუსრულდა, ამ დღეი ამავისთვის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. იგი, ამავ დროს, წლების მანძილზე ნაყოფიერ სამსაჯო საქმიანობას ეწევა, რისთვისაც საკავშირო კატეგორიის მსაჯის ტიტული დამისახურა.

პეტრე იორდანიშვილი დაიბადა თბილისში, მოსამსახურის ოჯახში, სადაც უყვარდათ ლიტერატურა, მუსიკა, ხელოვნება და ფიზკულტურა, როგორც ბავშვთა გაჯანსაღების ერთ-ერთი ყველაზე უეფარი საშუალება. ცხადია, ასეთ გარემოში ახალგაზრდა პეტრე გულშეიღობად ვერ აუღლიდა გვერდის სპორტს. იგი სკოლაშივე დაუახლოვდა ჭიდაობას, ვატიყენობა დაეწეოდა მისი საიდუმლოების ამოცნობას.

ამიერკავასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პეტრე იორდანიშვილი იმავე სასწავლოდღეში მწვრთნელად იწყებს. მუშაობას, შემდეგ კი თბილისის უნივერსიტეტში გადადის. დასაბუთებით ამ პერიოდში თბილისში, განათლების განყოფილებაშიან გაიხნა ჭიდაობის სკოლა, რომელიც თავდაპირველად ექსპერიმენტული ხასიათისა იყო. პეტრემ, როგორც გამოცდილმა მწვრთნელმა, ამ სკოლაში დაიწყო მუშაობა (სხვათა შორის, იგი დღესაც ამ სკოლის პედაგოგია). სამი ათეული წელი წვრთნიდა იგი ახალგაზრდა ათლეტებს, რომლებმაც არაერთხელ გაუშვეს სახელო-მშობლიურ სკოლას, აღმზრდელს, რესპუბლიკას. პეტრე იორდანიშვილის „სამეცდილოდა“ ჭერ მარტო 11 ნორჩი ჩემპიონი გამოვიდა, რომელთა შორის ბევრმა შეძლო დიდ სარბიულეზე გათქევა სახელო.

მაგრამ ამავდარი მწვრთნელის დავლი მხოლოდ ჰაბუქეტიან მუშაობით როდი ამოიწურება. პ. იორდანიშვილმა

გაზარდა არა ერთი და თრი ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონი, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს საერთოდ ჭიდაობაში და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმატებების სანაქებო მატიანეში. აი, ზოგიერთი ამ ფალავანთავანი: დავით ციმაკურიძე — სსრ კავშირის მრავალგზის და XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ავთანდილ ქორიძე — XVII ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი, როსტომ აბაშიძე — მსოფლიოს სამგზის და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ვასილ ილურიძე — სსრ კავშირის, მოსკოვის სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი, დავით გვანცყვაძე — სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, თამარ მაჭავარიანი — სსრ კავშირის ჩემპიონი და ბევრი კიდევ სხვანა შეიძლება შეკეთეს ატესტაკეამ მწვრთნელისა და აღმზრდელისთვის?

პ. იორდანიშვილი 10 წლის მანძილზე სათავეში ედგა სსრ კავშირის ნაკრებს კლასიკურ ჭიდაობაში. ამავდროს იგი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს ამზადებდა ოთხივე სპარტაკადისთვის და, როგორც აღმათ გახსოვთ, არცთუ წარუმატებლად.

დღეს იგი 60 წლისაა, მაგრამ თავს კვლავინდებურად მხნედ გრძობს. პ. იორდანიშვილის ენერჯია და ჯანმრთელობა ჩვენი რესპუბლიკის მოტიღვეთა ახალი წარმატებების საწინდარია, ვინადან მისი გამოცდილება და ცოდნა მუდამ იყო და არის ფასდაუღებელი საუნეზე.

ვესურვით სახელოვან იუბილარს დღეგრძელი სიცოცხლე.

უ. მოწონმა.

სურათზე: პ. იორდანიშვილი (ცენტრში) თავის აღზრდილებთან.

ფოტო გ. ზარგარიანისა.



28 იანვარს მოსკოვში სტარტი აღდეს ტრადიციული ზამთრის ავტორალის „სნეიკის“ მონაწილეებმა. მოსკოვის, იაროსლავის, რივის, ივანოვოს, დონეცის, ტალინისა და სხვა ქალაქების ავტომობილიტა 20-ზე მეტი გუნდი დაადა რთულ გზას, რომლის სიგრძე 2500 კმ-ია. თითოეულმა ეკიპაჟმა (2 მძღოლი) ტრასა 48 საათში უნდა დაფაროს. ეს რალი წლეულს პირველი დიდი შეგობრება საბჭოთა ავტომობილტოსპორტსმენებისთვისა. ისე კი წლეულელი კალენდარი მდიდარი იქნება.

მარტის დამდეგს უფელიმა სტუდენტმა გ. კადიროვმა შვედიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უნდა დაიცვას ყინულზე განხორციელებულ მოტორსპორტის მონაწილეობაში. ისინი წარმატებით გამოვიდნენ მო-

ბის ჩემპიონი წიღოვან ბილიკე მოტორბოლაში და მასთან ერთად ნაიდვეს სხვა საბჭოთა ოსტატები ამ გაზეხულს მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატების მრავალეტაპიან გუნდურ და პირად შეგობრებებში. ჩერკეჯის „დომბაის“

## სისნრაუის ეპოპერები

გუნდმა უნდა იბრძოლოს მოტობურთში ევროპის თაისს შენარხუნებისთვის.

მრავალი წელია საბჭოთა სპორტსმენები პირველობენ მოტოციკლიტა ყველაზე მასობრივ საერთაშორისო შეგობრებებში. ისინი წარმატებით გამოვიდნენ მო-

ტოსპორტის საერთაშორისო უედერაციის (ფიშ) შარშანდელ მოტორალიში, რომლის ფინიშიც კრაკოვში შედგა წინაა ახალი შეგობრებები. ახლა მოტოციკლისტები პრადისკენ აღებენ გზას.

გასულ სეზონში საბჭოთა კარტინგისტები-

საბჭოთა მიკროავტომობილისტებისთვის საბჭოთადა 10 წლისთავი მათი პირველი სტარტების დღეიან. რიგაში ჩატარდება შეგობრებები. ახლა მოტოციკლისტები პრადისკენ აღებენ გზას. „კარტინგს 10 წელი შეუსრულდა.“

მოტოციკლისტთა შეგობრებებიდან, რომლებიც სსრ კავშირში ჩატარდება, პირველ ყოვლისა უნდა დავახსენოთ მოტოკოსში მსოფლიო ჩემპიონატების ეტაპები. ეს შეგობრებები 31 მაისს გაიხორციება ლვოვის ტრასაზე „250-ნების“ კლასში. 21 ივნისს კი პოლონის ახლოს — „500 ანების“ კლასში. ავგისტოში სსრ კავშირში პირველად ჩატარდება ევროპის პირადი ჩემპიონატი წიღოვან ბილიკე მოტობოლაში.

(საჯდესი).



სსრ კავშირის XXVII ჩემპიონატი



# პირველი წრე სივრცეში

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)

მატი	წუთი	ჯარიმა	ქულა	
1. პულავსკი	11	855	48	162
2. ბიკაშვილი	11	256	87	143
3. ჩიკვაძე	11	859	82	110
4. მანაგაძე	11	241	41	97
5. ვლუჩიძე	10	320	41	62
6. ჯუღელი	11	180	42	71
7. ნინიაშვილი	5	81	15	40
8. ი. ლეჟავა	8	185	29	38
9. ძიმიტური	8	93	28	29
10. მაისურაძე	7	67	9	19
11. ფირცხალაიშვილი	5	80	7	17
12. არუთიანოვი	8	50	19	14

„ბურევესტნიკი“ (IX ადგილი) „გატანილი“ ქულებით (822) VIII ადგილზეა, ხოლო გატანილისა და მიღებულის სხვაობით ბოლოსწინა, XI ადგილზე. გუნდს უარყოფითი ბალანსი (-103) აქვს. თბილისელთგმა 6 მატჩი ჩაატარეს შინ და მხოლოდ 2 მოიგეს, სტუმრად კი „ბურევესტნიკმა“ ხუთ შეხვედრაში მხოლოდ I ქულა აიღო. „ბურევესტნიკი“ ყოველ მატჩში საშუალოდ 75 ქულას იღებს, ხოლო მეტოქეს 84 ქულას „აძლევს“.

„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)

მატი	წუთი	ჯარიმა	ქულა	
1. პოლნიკოვი	11	369	48	131
2. ვეისმანი	11	366	30	165
3. ნიკოშინი	11	281	48	188
4. მალაშკინი	11	388	58	110
5. შვედოვი	11	199	21	96
6. სუბოტინი	11	160	27	64
7. პლატონოვი	8	248	32	42
8. ვოსკოპოვიჩი	7	121	20	18
9. კიმი	4	36	3	10
10. ზელენოვი	2	12	1	4
11. ჩებოტაროვი	2	9	4	8
12. კუზნეცოვი	2	8	3	0
13. ხომენკო	2	15	3	0

ალმაათელი კალათბურთელები (X ადგილი) „გატანილი“ ქულებით VI ადგილზე არიან, ქულების ბალანსით კი (-85) — X. „ლოკომოტივმა“ 6 მატჩი ჩაატარა შინ და 3 მოიგო, ხოლო სტუმრად მას არც ერთი ქულა არ აუღია. რკინაგზელები ყოველ მატჩში საშუალოდ 33 ქულაზე მეტ ქულას (85) „უშვებენ“ საკუთარ კალათში, რაც მათი დაცვის სუსტი თამაშის მაჩვენებელია.

## კ. შოროში გადკდგკ

შეს შედეგად, რაც უნგრეთის მხარეებმა მარცხი იგემა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში, უფროსმა მწვრთნელმა კ. შოროშმა განცხადება შეიტანა გადადგომის შესახებ. უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამ დღეებში დაკმაყოფილა ეს თხოვნა. შოროშთან ერთად გადადგა ფედერაციის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი.

ნაკრების ახალ მწვრთნელად მიწვეულია გამოჩენილი უნგრელი სპეციალისტი, დოქტორი ვეზა კალოზი, რომელიც რამდენიმე სეზონის განმავლობაში დიდი წარმატებით წვრთნიდა ბოლონეთის „ბურნიკს“ (ზაბეე). სხვათა შორის, იგი რამდენიმეჯერ ყოფილა თბილისში.

კალოზი ამ მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას.

## დი სტეფანოს ტრიუმფი

44 წლის ა. დი სტეფანო კვლავ ფეხბურთის მიმომხილველთა ყურადღების ცენტრშია. მას შემდეგ, რაც ამ გამოჩენილმა ოსტატმა ესპანეთში ამაღლ სცადა მწვრთნელის კარიერა, იგი ისევ თავის სამშობლოში — არგენტინაში დაბრუნდა. აქ მას ცნობილი გუნდი „ბოკა ხენიორსი“ ჩააბარეს, სადაც მრავალი წლის წინ თვით

თამაშობდა. ზოგი მიმომხილველი გუნდის დირექტორატის ასეთ ნაბიჯს „ფრიად გაუფრთხილებელს“ უწოდებდა.

მაგრამ დი სტეფანომ, როგორც მწვრთნელმა, სულ მალე ისახელა თავი მძაფრი კონსტრუქციის მიუხედავად, „ბოკა ხენიორსი“ არგენტინის ჩემპიონი გახდა, რაც დი სტეფანოს უდავო დამსახურებად მიიჩნეოდა.

სურათზე: დი სტეფანო (მარცხნივ), „ბოკა ხენიორსის“ სტადიონზე მამასთან (შუაში) და სტადიონის მფლობელთან ერთად.



**ფ რ ა ნ ზ ი**  
**ქურნალისტის**  
**დამაფიქრებელი**  
**ა ნ ა ლ ო ბ ი ბ**  
...72 საათის  
**შ ე მ დ ე ზ**

## „კოკა მონტავიდეო“

უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრების მოთამაშეები კარგ წვრთნას გაეცლიან დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც თებერვალში ტარდება. მას „კოკა მონტავიდეო“ ეწოდება. თანხისთვის იბრძოლებს 6 გუნდი: „პენინარილი“, „ნასიონალი“ (მონტევიდეო), „კორინტიანსი“ (ბრაზილია), „სან-ლორენცო“, „რივერ პლატა“ (არგენტინა) და „სერენა ზეზელა“ (იუგოსლავია).

## კანტის „ანდჰაილი“

ივლისის ნაკრების ყოფილი ცენტრფორვარდი რ. ჰანტი, რომელიც 2 წლის წინ გამოეთხოვა კოლქეტივს, მიმომხილველთა აზრით, ახლა თავისი საფეხბურთო კარიერის „ანდჰაილშია“. საქმე იქამდეც მივიდა, რომ 1969-70 წლების სეზონში იგი თავის კლუბ „ლივერპულშიც“ შეაფრთხილეს და სათადარიგო შემადგენლობაში გადაიყვანეს. ამიტომ ჰანტი „ლივერპულიდან“ რომელსაც საპროზო ადგილის პრეტენზია აქვს, შედარებით სუსტ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“ გადავიდა (ეს პოპულარული კლუბი ახლა უწინდელის აზრდელიც აღარაა).

## 16 წლის მანკილჯე

უკვე 16 წელია ინგლისელი შემეცნებელი ყოფილი სეზონის დამთავრების შემდეგ ასახელებენ ლიგის უძლიერეს გუნდს და ადგენენ საუკეთესო მოთამაშეთა ნაკრებს. ახლა შეაჯამეს ამ 16 სეზონის შედეგები. ხმების უმრავლესობით, ამ პერიოდის უძლიერეს გუნდად გავიდა „მანჩესტერ იუნაიტედი“

(იგი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი და ინგლისის არაერთგზის ჩემპიონი იყო). შედგენილ იქნა „16 წლის ნაკრებიც“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ბენქსი, კოენი, ულსონი, ბრემერი, ჯ. ჩარლტონი, მური, რ. ჩარლტონი, ბესტი, გრისი, ჰერსტი და ტომპსონი.

## კმბოხევა კაზერტაში

ძნელად გამოიძებნება სხვა ისეთი ამბავი, როგორც იტალიის ქალაქ კაზერტაში, ნეაპოლის მახლობლად მოხდა. ადგილობრივი ფეხბურთელები ტორინტოს გუნდს ეთამაშებოდნენ „ბ“ კლასში ვასკოლის უფლებებისთვის. სტუმრები კარში გატანილ იქნა ერთადერთი გოლი და კაზერტის მაცხოვრებელთა სიხარულს ალბათ ბოლო არ ექნებოდა, მაგრამ მათი ზარ-ზეიმი ხანმოკლე გამოდგა. ტორინტოს უძლიერესმა მოთამაშემ რენატო დე ტონამ მატჩის შემდეგ აღიარა, რომ კაზერტის კლუბისგან მიიღო მილიონი ლირა იმის საფასურად, რომ არ გაეტანა ბური-

თი მის კარში. მატჩის მსვლელობის ანალიზმა ცხადყო, რომ სწორედ ტონის გულისთვის ვერ შეძლეს ტორინტოელებმა საპასუხო გოლის გატანა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დადგინდება მიიღო კაზერტის კლუბისთვის სასჯელის სახით ჩამოეკლოთ 6 ქულა, და მასინ ქალაქი ჯოჯოხეთის დემსგავსა. ქუჩებში წარმოუდგენელი არეულობა სუფევდა, წამდაუწუმ იწყებოდა ჩხუბი მრავალრიცხოვანი ბრბოს მონაწილეობით. გაკოფებული გულშემატკივრები არბევდნენ მალაზიებს, იჭრებოდნენ და წესებულბებში, ამსხვრევდნენ ავეჯს, ნაყურ-ნაყურ ფლეთდნენ და ქუჩაში ყრიდნენ საქმიან ქალაქდებს.

## კ ვ ი ქალღებრი ... ყარაულთა რო ლ შ ი

„ვის ყარაულთენ ეს ავი ძალღებმა, რომლებიც გაუთავებლად ყვეფენ ჩვენს სტადიონებზე?“ — ეკითხება თავის მკითხველებს შვეიცარიული ჟურნალი „ილიუსტრე“.

მართლაც: „ვის ყარაულთენ სპეციალურად გაწვრთნილი ავი ძალღებმა შვეიცარიის სტადიონებზე?“ ვის და თავმჯდომარეებულ, აღვირახსნილ გულშემატკივრებს, რომლებიც წამდაუწუმ გამოირბიან საფეხბურთო მინდორზე თამაშში „მონაწილეობის“ მისაღებად.

ჟურნალი აღმუთებთ წერს, რომ სხვა ქვეყნებში, სადაც საფეხბურთო ვნებათაღელვანი არანაკლებ ამბოჭრებს მაყურებლებს, იფარგლებიან იმით, რომ სათამაშო მინდორს ტრიბუნებიდან გამოკოფენ ლითონის ლობით, მავთულსართით ან ორმოვებით, შვეიცარიაში კი სტადიონები საძალღებლად არის მქეული. ტრიბუნებზე მუდამაა სმაური, ყიჭინა, სტვენა, რაც პირდაპირ აცოფებს ძალღებებს. ვი მას, ვინც ასეთ დროს ჩაუვარდება ძალღებებს ხელთ. ჟურნალის ერთ-ერთი კორესპონდენტი, რომელსაც სურდა ინტერვიუ აეღო მოთამაშეთაგან, ისე დაკბინეს „სპორტულმა დარაჯებმა“, რომ იგი ძლივს გადაარჩინეს სიკვდილს. მაგრამ, მუხუხლავად ამისა, სტადიონების აღმინისტრაციებს აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნიათ „სრულ მზადყოფნაში“ მყოფი ავი ძალღებმა.

ქალაქის ნაწილს წაყიდა ცეცხლი, რომი — ნეაპოლის მაგისტრალურ გზატკეცილზე, რომელიც კაზერტაში გადის, მოძრაობა მთლიანად პარალიზებულ იქნა. შეწყდა მუშაობა საწარმო-დაწესებულებებში, დაიკეტა სასწავლებლები.

მატერიალურმა ზარალმა დიდ თანხას მიადწია. პოლიციის ვაძლიერებულმა რაზმებმა ქალაქში წესრიგის აღდგენა დიდი გაპირვებით შეძლეს... 72 საათის შემდეგ.

საქართველო

ალმა-ათა, 24 იანვარი. შედეგს მაღალმთიან საციგურაოზე დღეს დაწვებული საერთაშორისო შეჯიბრება ვ. მურატოვის ბრწყინვალე წარმატებით აღინიშნა: კოლომენლა მოციგურავემ ჯერ 500 მეტრზე რბენაში ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს „გაასწრო“ — 88,99 წამი აჩვენა, მეორე კი 1000 მეტრზე რბენაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 1.19,25 (აქ ჩამოსვლა შედგმა 3 ბიორიგესმა ამას წინათ დავოსში 500 მ 88,9 წამში დაფარა, რაც ასევე სკობს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს).

**-205-**

რედაქტორი მ. პაპაბაძე.